საქართველოს ფოსტა

POST 26 00004826

16/02/2026

რწმუნებულება

შპს „საქართველოს ფოსტა“ (ს/ნ: 203836233) (შემდგომში „მარწმუნებელი“) **თორნიკე დვალს** (პ/ნ: 01024010140) (შემდგომში „რწმუნებული“) ანიჭებს მარწმუნებლის წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში მასზედ, რომ მარწმუნებლის სახელით მოახდინოს შპს „საქართველოს ფოსტის" დაკვეთით აეროპორტის მიმდებარედ სახმელეთო ამანათების ტერმინალისა და ავტოფარეხის საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენა და ამ პროექტთან დაკავშირებული ყველა სხვა საჭირო მოქმედების შესრულება.
აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია არქიტექტურულ საკითხებთან დაკავშირებით ისარგებლოს დაინტერესებული მხარის ყველა უფლებით და დავალებული მოქმედების შესასრულებლად მარწმუნებლის სახელით განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება.

რწმუნებულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

გენერალური დირექტორი
ერაძე გიორგი

შპს ,,საქართველოს ფოსტა"
ს/ნ: 203836233
სადგურის მოედანი N2,
თბილისი 0100, საქართველო

უსასყიდლო სერვიტუტის ხელშეკრულება №T/PU/GPO/2026/01

ქ. თბილისი

05.02.2026 წ.

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"** (ს/ნ: 404389693; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი №21), წარმოდგენილი მარიამ ხარაიძის (პირადი №28001116955; მინდობილობა №1539, 05.11.2025 წ.) მიერ (შემდეგში - მესაკუთრე) და

მეორე მხრივ, **შპს „საქართველოს ფოსტა"** (ს/ნ: 203836233; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2) წარმოდგენილი ტრანსპორტისა და ქონების მართვის დეპარტამენტის ქონების მართვისა და სასაწყობე მეურნეობის მიმართულების ქონების მართვისა და ექსპლუატაციის სამსახურის ქონების მართვის მენეჯერის, როსტომ ნალბანდიშვილის მიერ (პირადი №01030023386 ; მინდობილობა №POST 26 00002026, 22.01.2026 წ.) მიერ (შემდეგში - მოსარგებლე),

„სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 1 თებერვლის №1-1/50 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და იმის გათვალისწინებით, რომ:

- შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" სამეთვალყურეო საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება (ოქმი №სს-06/2025, საკითხი №3);
- მიღებულია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 1 ოქტომბრის №15/52386 წერილი;
- მიღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 7 ოქტომბრის №12/70282 წერილი,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მესაკუთრე თანახმაა, თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით 01.19.26.009.004 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 223.2 კვ.მ ფართობი და (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით 01.19.26.009.042 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 91.7 კვ.მ და 171.4 კვ.მ ფართობი) (შემდეგში - ქონება), უსასყიდლოდ იქნეს გამოყენებული მოსარგებლის მიერ, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.19.26.009.048 და (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.19.26.009.047)) მისასვლელი გზისა და რკინიგზის ლიანდაგზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.00.403)) გადასასვლელის მოწყობის მიზნით (უსასყიდლო სერვიტუტი).

აეროპორტი

მოსარგებლე

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მესაკუთრის უფლება-მოვალეობები:

2.1.1. მესაკუთრე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაათვალიეროს და შეამოწმოს ქონება;

2.1.2. მოსარგებლის მიერ ქონების არადანიშნულებისამებრ გამოყენების, არსებული მდგომარეობის გაუარესების ან მესაკუთრისათვის ქონებით სარგებლობის ხელშეშლის შემთხვევაში, მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს ასეთი გამოყენების აკრძალვა/ხელშეშლის აღკვეთა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

2.1.3. მესაკუთრე უფლებამოსილია, მოსარგებლის მიერ ქონების გაუარესების შემთხვევაში, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოსარგებლეს მოსთხოვოს ქონების აღდგენა და ზიანის ანაზღაურება;

2.1.4. მესაკუთრე ვალდებულია ისარგებლოს ქონებით ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მოსარგებლეს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ქონებით სარგებლობაში;

2.1.5. მესაკუთრე ვალდებულია აცნობოს მოსარგებლეს ქონების მიმართ გასატარებელი მოქმედებების შესახებ, რომლებიც აუცილებელია მისი მოვლა-პატრონობისათვის და რამაც შესაძლოა შეაფერხოს მოსარგებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ქონებით სარგებლობა.

2.2. მოსარგებლის უფლება-მოვალეობები:

2.2.1. მოსარგებლე ვალდებულია გამოიყენოს ქონება დანიშნულებისამებრ, მიიღოს ყველა ზომა ქონების არსებულ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, დაიცვას ქონების მესაკუთრის ინტერესები და ხელი არ შეუშალოს მესაკუთრეს ქონებით სარგებლობაში;

2.2.2. მოსარგებლე ვალდებულია ითმინოს მესაკუთრის მიერ ქონების მიმართ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მისი მოვლა-პატრონობისათვის, გასაუმჯობესებლად და აღნიშნული თუ არამართლზომიერად არ ზღუდავს ქონებით სარგებლობას ან/და ზიანს აყენებს მოსარგებლეს;

2.2.3. მოსარგებლე ვალდებულია აცნობოს მესაკუთრეს ყველა იმ გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გაჭლენა იქონიოს ქონების არსებული მდგომარეობის შეცვლაზე;

2.2.4. მოსარგებლე ვალდებულია რკინიგზის ლიანდაგზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.00.403) გადასასვლელის მოწყობის ტექნიკური პირობები და შემდგომი ექსპლუატაციის პირობები შეათანხმოს შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს მესაკუთრეს;

2.2.5. მოსარგებლე ვალდებულია მესაკუთრესთან შეთანხმებით მოახდინოს ქონების გაუმჯობესება;

2.2.6. მოსარგებლე ვალდებულია სერვიტუტის უფლებით სარგებლობისას დაიცვას ქონების მესაკუთრის ინტერესები, ხელი არ შეუშალოს მესაკუთრეს ქონებით სარგებლობაში;

2.2.7. მოსარგებლე ვალდებულია აცნობოს მესაკუთრეს ყველა საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ქონების მდგომარეობაზე.

აეროპორტი

მოსარგებლე

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. მოსარგებლე პასუხს აგებს ქონების დაზიანებისა თუ გაუარესებისათვის, რომლებიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დროს. ასეთ შემთხვევაში მოსარგებლე ვალდებულია აანაზღაუროს თავისი ბრალით მიყენებული ზიანი.

3.2. მოსარგებლე პასუხს არ აგებს ქონების ისეთი ცვლილებებისა და გაუარესებისათვის, რაც წარმოიშვა მისი სათანადოდ გამოყენების შედეგად.

3.3. მხარეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულებ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

4. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეთა მიერ ორმხრივად ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. კომუნიკაცია მხარეებს შორის

5.1. ყველა წერილობითი შეტყობინება მხარეთა შორის იგზავნება და ჩაბარებულად ითვლება ხელშეკრულებაში მითითებულ მხარის მისამართზე.

5.2. მხარისათვის გზავნილის ჩაბარებად შესაძლოა მიჩნეულ იქნას ასევე მისი გაგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, თუ შესაძლებელია ელექტრონულ ფოსტაზე გზავნილის მისვლის დადასტურება.

6. სადავო საკითხების გადაწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

6.2. გონივრულ ვადაში მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ფორს-მაჟორული გარემოებები

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში (ფორს-მაჟორი), რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ და რომელთა გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს, ასევე რომელთა დადგომა, ზემოქმედების თავიდან აცილება და გადალახვა მხარეებს არ ხელეწიფებოდათ,

აეროპორტი

მოსარგებლე

მათ შორის: წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქება, ხანძარი, ავარია, ემბარგო, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვა, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა უნდა იყოს საყოველთაოდ ცნობილი ანდა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სუბიექტის მიერ, ხოლო ის გარემოება, რომ ფორს-მაჟორული გარემოება გახდა ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი, ვალდებულების დამრღვევი მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.

7.2. დაუძლეველი ძალის მოქმედების მთელ პერიოდში, მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა მაქსიმალურად შეამცირონ ის დრო, რომლის განმავლობამიც შეფერხებულია ვალდებულებ(ებ)ის შესრულება.

7.3. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის მოქმედებაზე, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მას ხელი შეუშალეს დაუძლეველი ძალით გამოწვეულმა გარემოებებმა. ამასთან, იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების იმ სხვა ვალდებულებათა შესრულებისაგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები.

7.4. მხარე, რომლისთვისაც დაუძლეველი ძალის დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს.

7.5. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.

7.6. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს არსებობის ვადით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება:

9.1.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

9.1.2.მხარეთა შეთანხმებით;

9.1.3.ცალმხრივივად 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

9.2. ხელშეკრულება ცალმხრივად წყდება:

9.2.1.მოსარგებლის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით ქონებით სარგებლობა საჭიროებას არ წარმოადგენს;

აეროპორტი

მოსარგებლე

9.2.2.მესაკუთრის მიერ ცალმხრივი ნების გამოვლების საფუძველზე, მოსარგებლისათვის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნით;

9.2.3.მოსარგებლის მიერ ცალმხრივი ნების გამოვლების საფუძველზე, მესაკუთრისთვის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნით;

9.2.4.მესაკუთრის მიერ თუ მოსარგებლე, მესაკუთრის გაფრთხილების მიუხედავად ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას (მტკიცების ტვირთი ეკისრება მესაკუთრეს);

9.2.5. მესაკუთრის კაპიტალიდან ქონების ამოღების შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოსარგებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული საფუძვლით ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს არაუმეტეს 2 (ორი) თვეს;

9.2.6. აეროპორტის (საწარმოს) ან/და დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონების გაყიდვის შემთხვევაში, აეროპორტის (საწარმოს)/უძრავი ქონების შემძენი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

9.3. ამ ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამოიწვევს მისგან წარმოშობილი ვალდებულებების შეწყვეტას, რომლებიც უკვე წარმოშობილი და შესასრულებელი აქვს მხარეს.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. მხარეები ადასტურებენ, რომ გააჩნიათ ყველა სათანადო ნებართვა თუ თანხმობა და აკმაყოფილებენ ყველა სათანადო პირობას იმისათვის, რომ დადონ ეს ხელშეკრულება. თუ რომელიმე მხარის ნების გამოვლენა ნაკლიანია ამ თვალსაზრისით, ყოველგვარი პასუხისმგებლობა, რაც ამის გამო შეიძლება დადგეს, ეკისრება თავად ამ მხარეს.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი განკუთვნილი მხარეებისთვის, ხოლო ერთი - მარეგისტრირებელი ორგანოსთვის.

11. მხარეთა რეკვიზიტები

11.1. **შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“**

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404389693;

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, მალვა ჭანკოტაძის ხეივანი N21.

საკონტაქტო პირი: მარიამ ხარაიძე

ტელ: 551 087 838;

ელ.ფოსტა: Info@airports.ge;

აეროპორტი

მოსარგებლე

11.2. **შპს „საქართველოს ფოსტა"**
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203836233;
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჩულურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი N2

საკონტაქტო პირი: როსტომ ნალბანდიშვილი
ტელ.: 577 34 13 23
ელ-ფოსტა: r.nalbandishvili@gpost.ge

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

მარიამ ხარაიძე
წარმომადგენელი

შპს „საქართველოს ფოსტა"

როსტომ ნალბანდიშვილი
წარმომადგენელი

საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი



მასშტაბი 1:8000

სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა
WGS 84 / UTM zone 38N

მისამართი	ქალაქი თბილისი, აეროპორტი, (ს.კ. 01.19.26.009.042)	ნაკვეთის ფართი	97606 კვმ
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე: ხაზობრივი ნაგებობის ჯამური სიგრძე: ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი:	
საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი		დავითი გოგსაძე (60001024687)	
დაინტერესებული პირი		შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" ს/ნ 404389693	
თარიღი:		04.12.2025	
შენიშვნა:	ნაკვეთი აზომილია დაინტერესებული პირის მითითებით		

პირობითი აღნიშვნები

- X ნაკვეთის ნიშნული
- ნაკვეთის საზღვარი ფიქსირებული
- ნაკვეთის საზღვარი არაფიქსირებული
- შენობა-ნაგებობა
- (შენობის ნარჩენები)
- მშენებარე ნაგებობა
- ნანგრევი
- ხაზობრივი ნაგებობა
- ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტი
- საკანალიზაციო ჭა
- ელექტრო ბოძი
- განათების ბოძი
- ხე
- სხვა ტოპოგრაფიული ელემენტები

ინდ. მეწარმე დავითი გოგსაძე
ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქ. 11
(საიდენტიფიკაციო კოდი 60001024687)
gogsadze_geo5@hotmail.com
მობილური: 551 42 41 11

მიწის ნაკვეთის/ხაზობრივი ნაგებობის ადგილმდებარეობის მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	დანიშნულება
ქ. თბილისი, თბილისის აეროპორტი (ნაკვ. 009/004) (ს.კ. 01.19.26.009.042)	97606	არასასოფლო-სამეურნეო

შენობა-ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა	გაშენების ფართი (კვ.მ)

	ვალდებულების სახე	ფართობი (კვ.მ.)
უშლებრივი შეზღუდვის/ვალდებულების აღწერა	სერვიტუტი	92
	სერვიტუტი	171
	სერვიტუტი	294
	სერვიტუტი	158
	სერვიტუტი	102
	აღნაგობა	29

ხაზობრივი ნაგებობის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე (მ)	ხაზობრივი ნაგებობის გეომარგებითი სიგრძე (მ)	ხაზობრივი ნაგებობის თანამდევი წერტილოვანი ობიექტის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის თანამდევი წერტილოვანი ობიექტების რაოდენობა

საზღვარი	მოსაზღვრის —აღწერა
A—B	შპს "რომპეტროლ საქართველო"
B—C	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
C—D	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
D—E	შპს "საქართველოს რკინიგზა"
E—F	გზა
F—G	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
G—H	სსიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი"
H—A	სსიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი"
I—J	შპს "ქართულ ამერიკული საწარმო LTD GACC"
J—K	შპს "ქართულ ამერიკული საწარმო LTD GACC"
K—L	შპს "ქართულ ამერიკული საწარმო LTD GACC"
L—I	შპს "ქართულ ამერიკული საწარმო LTD GACC"
M—N	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
N—O	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
O—P	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
P—M	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
Q—R	შპს "საქართველოს ფოსტა"
R—S	შპს "საქართველოს ფოსტა"
S—T	შპს "საქართველოს ფოსტა"
T—Q	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

საკადასტრო აგეგმვის დამსწრე პირების სახელი, გვარი	ხელმოწერა
გიორგი ნიკოლაძე	

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი, გვარი	ი.მ "დავითი გოგსაძე"
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	საიდ. კოდი 60001024687
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	მის. ქუთაისი, ნუნელაშვილის ქუჩა № 11 ტელ. 551424111
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია	მაღალი სიზუსტის გეოდეზიური სელსაწყო GPS –ის გემოყენებით, GeoCors – ის გეოდეზიური სისტემის საშუალებით: რეალური დროის რეჟიმი (RTK) – დ.ა.ს.

* — საველე-აზომვითი სამუშაოების შესრულების დროს დაინტერესებული პირის გამოცხადების შედეგად ვერ იქნა მოპოვებული მოსაზღვრე ნაკვეთის მართლმსომიერი მფლობელის/მესაკუთრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემი.

აზომვის შესრულების თარიღი:	04.12.2025	
საკადასტრო აგეგმვითი /აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა	დავით გოგსაძე	

დაინტერესებული პირი	შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	ს/ნ 404389693
დაინტერესებული პირის ხელმოწერა	V

* — საკადასტრო-აზომვითი სამუშაოების შესრულების დროს დაინტერესებული პირის გამოკითხვის შედეგად ვერ იქნა მოძიებული მოსაზღვრე ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელის/მესაკუთრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემი.

საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი



მასშტაბი 1:2000

სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა
WGS 84 / UTM zone 38N

მისამართი	ქ. თბილისი, თბილისის აეროპორტი,(ნაკვ. 009/004) (ს.კ. 01.19.26.009.004)	ნაკვეთის ფართი	4000 კვმ
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე: ხაზობრივი ნაგებობის ფუნქციური სიგრძე: ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი:	
პირობითი აღნიშვნები		საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	დავითი გოგსაძე (60001024687).
		დაინტერესებული პირი	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" ს/ნ 404389693
		თარიღი:	04.12.2025
		შენიშვნა:	ნაკვეთი აზომილია დაინტერესებული პირის მითითებით

პირობითი აღნიშვნები

- X ნაკვეთის წერტილი
- ნაკვეთის საზღვარი ფიქსირებული
- ნაკვეთის საზღვარი არაფიქსირებული
- ფოლდბულება
- შენობის ნარჩენ(ნანგრევი)
- დროებითი ნაგებობა
- ნანგრევი
- ხაზობრივი ნაგებობა
- ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტი
- საკომუნიკაციო ჭა
- ელექტრო ბოძი
- განათების ბოძი
- ხე
- სხვა ტოპოგრაფიული ელემენტები

ინდ. მეწარმე დავითი გოგსაძე
ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქ. 11
(საიდენტიფიკაციო კოდი 60001024687)
gogsadze_geo5@hotmail.com მობილური: 551 42 41 11

საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი

მიწის ნაკვეთის/საზომი ნაგებობის ადგილმდებარეობის მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	დანიშნულება
ქ. თბილისი, თბილისის აეროპორტი (ნაკვ. 009/004) (ს.კ. 01.19.26.009.004)	4000	არასასოფლო-სამეურნეო

შენობა-ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა	განაშენიანების ფართი (კვ.მ)

უფლებრივი შეზღუდვის/ დატვირთვის საზღვრების აღწერა	უფლებამოსილების სახე	ფართობი (კვ.მ)
	სერვიტუტი	223

ხაზობრივი ნაგებობის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე (მ)	ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე (მ)	ხაზობრივი ნაგებობის თანამდევი წერტილოვანი ობიექტის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის თანამდევი წერტილოვანი ობიექტების რაოდენობა

საზღვარი	მოსაზღვრის აღწერა
A—B	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
B—C	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
C—D	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
D—A	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

საკადასტრო აღწერის დამსწრე პირების სახელი, გვარი	ხელმოწერა
გიორგი ნიკოლაძე	[signature]

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი, გვარი	ი.მ "დავითი გოგსაძე"
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	საიდ. კოდი 60001024687
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	მის. ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქუჩა № 11 ტელ. 551424111
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია	მაღალი სიზუსტის გეოდეზიური ხელსაწყო GPS-ის გამოყენებით, GeoCors-ის გეოდეზიური სისტემის საშუალებით: რეალური დროის რეჟიმი (RTK) დ.ა.ა.

აზომვის შესრულების თარიღი:	04.12.2025
საკადასტრო აგეგმვითი /აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა	დავითი გოგსაძე [signature]

დაინტერესებული პირი	შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	ს/ნ 404389693
დაინტერესებული პირის ხელმოწერა	[signature]

* — საველე-აზომვითი სამუშაოების შესრულების დროს დაინტერესებული პირის გამოკითხვის შედეგად ვერ იქნა მოძიებული მოსაზღვრე ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელის/მესაკუთრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემი.

უსასყიდლო სერვიტუტის ხელშეკრულება №T/PU/GPO/2026/02

ქ. თბილისი

05.02.2026 წ.

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს ფოსტა“** (ს/ნ: 203836233; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2) წარმოდგენილი ტრანსპორტისა და ქონების მართვის დეპარტამენტის ქონების მართვისა და სასაწყობე მეურნეობის მიმართულების ქონების მართვისა და ექსპლუატაციის სამსახურის ქონების მართვის მენეჯერის, როსტომ ნალბანდიშვილის მიერ (პირადი №01030023386 ; მინდობილობა №POST 26 00002026, 22.01.2026 წ.) მიერ (შემდეგში - მესაკუთრე)

და

მეორე მხრივ, **შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება”** (ს/ნ: 404389693; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი №21), წარმოდგენილი მარიამ ხარაიძის (პირადი №28001116955; მინდობილობა №1539, 05.11.2025) მიერ (შემდეგში – მოსარგებლე),

„სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 1 თებერვლის №1-1/50 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 19 დეკემბრის №15/68008 წერილის გათვალისწინებით,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მესაკუთრე თანახმაა, თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით 01.19.26.009.048 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 225.7 კვ.მ ფართობი და მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით 01.19.26.009.047 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 694.2 კვ.მ ფართობი; შემდეგში - „ქონება“) უსასყიდლოდ იქნეს გამოყენებული მოსარგებლის მიერ, რათა მოსარგებლეს ჰქონდეს თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.19.26.009.046) მისასვლელი გზა (უსასყიდლო სერვიტუტი).

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მესაკუთრის უფლება-მოვალეობები:

2.1.1. მესაკუთრე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაათვალიეროს და შეამოწმოს ქონება;

2.1.2. მესაკუთრე უფლებამოსილია, მოსარგებლის მიერ ქონების არადანიშნულებისამებრ გამოყენების, არსებული მდგომარეობის გაუარესების ან მესაკუთრისათვის ქონებით სარგებლობის ხელშეშლის შემთხვევაში, მოითხოვოს ასეთი გამოყენების

აკრძალვა/ხელშეშლის აღკვეთა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

2.1.3. მესაკუთრე ვალდებულია ისარგებლოს ქონებით ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მოსარგებლეს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ქონებით სარგებლობაში;

2.1.4. მესაკუთრე ვალდებულია, გონივრული ვადით ადრე აცნობოს მოსარგებლეს ქონების მიმართ გასატარებელი მოქმედებების შესახებ, რომლებიც აუცილებელია მისი მოვლა-პატრონობისათვის და რამაც შესაძლოა შეაფერხოს მოსარგებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ქონებით სარგებლობა.

2.2. მოსარგებლის უფლება-მოვალეობები:

2.2.1. მოსარგებლე ვალდებულია გამოიყენოს ქონება დანიშნულებისამებრ, მიიღოს ყველა ზომა ქონების არსებულ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, დაიცვას ქონების მესაკუთრის ინტერესები და ხელი არ შეუშალოს მესაკუთრეს ქონებით სარგებლობაში;

2.2.2. მოსარგებლე ვალდებულია იზრუნოს მესაკუთრის მიერ ქონების მიმართ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მისი მოვლა-პატრონობისათვის, თუმცა აღნიშნული არამართლზომიერად არ უნდა უზღუდავდეს მოსარგებლე ქონებით სარგებლობის შესაძლებლობას ან/და ზიანს აყენებდეს მას;

2.2.3. აცნობოს მესაკუთრეს ყველა იმ გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ქონების არსებული მდგომარეობის შეცვლაზე.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. მოსარგებლე პასუხს აგებს ქონების დაზიანებისა თუ გაუარესებისათვის, რომლებიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დროს. ასეთ შემთხვევაში მოსარგებლე ვალდებულია აანაზღაუროს თავისი ბრალით მიყენებული ზიანი (მტკიცების ტვირთი ეკისრება მესაკუთრეს).

3.2. მოსარგებლე პასუხს არ აგებს ქონების ისეთი ცვლილებებისა და გაუარესებისათვის, რაც წარმოიშვა მისი სათანადოდ გამოყენების შედეგად.

3.3. მხარეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულებ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

4. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეთა მიერ ორმხრივად ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. კომუნიკაცია მხარეებს შორის

5.1. ყველა წერილობითი შეტყობინება მხარეთა შორის იგზავნება და ჩაბარებულად ითვლება ხელშეკრულებაში მითითებულ მხარის მისამართზე.

5.2. მხარისათვის გზავნილის ჩაბარებად შესაძლოა მიჩნეულ იქნას ასევე მისი გაგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, თუ შესაძლებელია ელექტრონულ ფოსტაზე გზავნილის მისვლის დადასტურება.

6. სადავო საკითხების გადაწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

6.2. გონივრულ ვადაში მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ფორს-მაჟორული გარემოებები

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში (ფორს-მაჟორი), რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ და რომელთა გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს, ასევე რომელთა დადგომა, ზემოქმედების თავიდან აცილება და გადალახვა მხარეებს არ ხელეწიფებოდათ, მათ შორის: წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქება, ხანძარი, ავარია, ემბარგო, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვა, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა უნდა იყოს საყოველთაოდ ცნობილი ანდა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სუბიექტის მიერ, ხოლო ის გარემოება, რომ ფორს-მაჟორული გარემოება გახდა ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი, ვალდებულების დამრღვევი მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.

7.2. დაუძლეველი ძალის მოქმედების მთელ პერიოდში, მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა მაქსიმალურად შეამცირონ ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეფერხებულია ვალდებულება(ებ)ის შესრულება.

7.3. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის მოქმედებაზე, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მას ხელი შეუშალეს დაუძლეველი ძალით გამოწვეულმა გარემოებებმა. ამასთან, იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების იმ სხვა ვალდებულებათა შესრულებისაგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები.

7.4. მხარე, რომლისთვისაც დაუძლეველი ძალის დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს დაუძლეველი ძალის დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე.

7.5. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.

7.6. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს არსებობის ვადით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება:

9.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

9.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

9.1.3. ცალმხრივად, 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

9.2. ხელშეკრულება ცალმხრივად წყდება:

9.2.1. მოსარგებლის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით ქონებით სარგებლობა საჭიროებას არ წარმოადგენს;

9.2.2. მესაკუთრის მიერ ცალმხრივი ნების გამოვლების საფუძველზე, მოსარგებლისათვის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნით;

9.2.3. მოსარგებლის მიერ ცალმხრივი ნების გამოვლების საფუძველზე, მესაკუთრისთვის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნით;

9.2.4. მესაკუთრის მიერ, თუ მოსარგებლე, მესაკუთრის გაფრთხილების მიუხედავად, ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას (მტკიცების ტვირთი ეკისრება მესაკუთრეს);

9.2.5. მესაკუთრის კაპიტალიდან ქონების ამოღების შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოსარგებლისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული საფუძვლით ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს არაუმეტეს 2 (ორი) თვეს;

9.2.6. მესაკუთრის (საწარმოს) ან/და დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონების გაყიდვის შემთხვევაში, მესაკუთრის (საწარმოს)/უძრავი ქონების შემძენი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

9.3. ამ ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამოიწვევს მისგან წარმოშობილი ვალდებულებების შეწყვეტას, რომლებიც უკვე წარმოშობილი და შესასრულებელი აქვს მხარეს.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. მხარეები ადასტურებენ, რომ გააჩნიათ ყველა სათანადო ნებართვა თუ თანხმობა და აკმაყოფილებენ ყველა სათანადო პირობას იმისათვის, რომ დადონ ეს ხელშეკრულება. თუ რომელიმე მხარის ნების გამოვლენა ნაკლიანია ამ თვალსაზრისით, ყოველგვარი პასუხისმგებლობა, რაც ამის გამო შეიძლება დადგეს, ეკისრება თავად ამ მხარეს.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი განკუთვნილი მხარეებისთვის, ხოლო ერთი - მარეგისტრირებელი ორგანოსთვის.

11. მხარეთა რეკვიზიტები

11.1. **შპს „საქართველოს ფოსტა“**
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203836233;
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი N2

საკონტაქტო პირი: როსტომ ნალბანდიშვილი
ტელ.: 577 34 13 23
ელ-ფოსტა: r.nalbandishvili@gpost.ge

11.2. **შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“**
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404389693
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი N21.

საკონტაქტო პირი: მარიამ ხარაიძე
ტელ: 551 08 78 38;
ელ.ფოსტა: Info@airports.ge;

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“

მარიამ ხარაიძე
წარმომადგენელი

შპს „საქართველოს ფოსტა“

როსტომ ნალბანდიშვილი
წარმომადგენელი

საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი



გეგმადი 1

მასშტაბი 1:2000

სახელმწიფო გეოდეზიური პროექციათა სისტემა
WGS 84 / UTM zone 38N

მისამართი	ქ. თბილისი, დასახლება აეროპორტი, (ნაკვ. 009/003) (ს.კ. 01.10.26.009.047)	ნაკვეთის ფართი	15400 კვმ
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო		

პირობითი აღნიშვნები

- X ნაკვეთის ნიშნული
- ნაკვეთის საზღვარი უძრავქონებული
- ნაკვეთის საზღვარი არაუძრავქონებული
- ქალაქმშენებლობა
- (შენობის სართულიანობა)
- მშენებარე ნაგებობა
- ნანგრევი
- ხაზობრივი ნაგებობა
- ხასიათობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტი
- საკომუნიკაციო ჭა
- ელექტრო ბოძი
- ტელეფონების ბოძი
- ხე
- სხვა ტოპოგრაფიული ელემენტები

ხასიათობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე:
ხასიათობრივი ნაგებობის ეკონომარებითი სიგრძე:
ხასიათობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი:

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	დავითი გოგსაძე (60001024687)
დაინტერესებული პირი	შპს "საქართველოს ფოსტა" ს/კ 203836233
თარიღი:	04.12.2025
შენიშვნა:	ნაკვეთი ასომილია დაინტერესებული პირის მითითებით

60001024687

ინჟ. მეწარმე დავითი გოგსაძე
ქ. ქუთაისი, ჩხეიძის ქ. 11
(საიდენტიფიკაციო კოდი 60001024687)
gogsadze_geo5@hotmail.com მობილური: 551 42 41 11

საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი

მიწის ნაკვეთის/საზღვრივი ნაგებობის ადგილმდებარეობის მისამართი	ფართობი (კვ.მ)	დანიშნულება
ქ. თბილისი, თბილისის აეროპორტი (საკვ. 009/003) (ს.კ. 01.19.26.009.047)	15400	არასასოფლო-სამეურნეო

შენობა-ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა	გაშენების ფართი (კვ.მ)

უფლებრივი შეზღუდვის/ დატვირთვის საზღვრების აღწერა	ვალდებულების სახე	ფართობი (კვ.მ)
	სერვიტუტი	694

საზღვრივი ნაგებობის ტიპი	საზღვრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე (მ)	საზღვრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე (მ)	საზღვრივი ნაგებობის თანამდევი წერტილოვანი ობიექტის ტიპი	საზღვრივი ნაგებობის თანამდევი წერტილოვანი ობიექტების რაოდენობა

საზღვარი	ზოსაზღვრის —აღწერა
A—B	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
B—C	შპს "საქართველოს ფოსტა"
C—D	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
D—A	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

საკადასტრო აღწერის დამსწრე პირების სახელი, გვარი	ხელმოწერა
გიორგი ნიკოლაძე	ვ. ნ.

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი, გვარი	ი.მ "დავითი გოგსაძე"
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	საიდ. კოდი 60001024687
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	მის. ქუთაისი, ჩხენკელაშვილის ქუჩა № 11 ტელ. 551424111
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია	მაღალი სიზუსტის გეოდეზიური ხელსაწყო GPS-ის ტექნოლოგიით, GeoCors-ის გეოდეზიური სისტემის საშუალებით რეალური დროის რეჟიმში (RTK)-ლ.ა.ა.

აზომვის შესრულების თარიღი:	04.12.2025		
საკადასტრო აგეგმვითი /აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა	დავითი გოგსაძე	60001024687	

დაინტერესებული პირი	შპს „საქართველოს ფოსტა"
დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	ს/ნ 203836233
დაინტერესებული პირის ხელმოწერა	

* — საველე-აზომვითი სამუშაოების შესრულების დროს დაინტერესებული პირის გამოცხადების შეუძლებლად ყოფნა იქნა მოძიებული მოსახლეობა ნაკვეთის მარეგულირებელი მფლობელის/მესაკუთრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან და სხვა მოიდენტიფიცირებული მონაცემი.

საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი



მასშტაბი 1:1000

სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა

WGS 84 / UTM zone 38N

მისამართი	ქ. თბილისი, თბილისის პირობითობა, (ნაკ. 009/003) (ს.კ. 01.19.26.009.048)	ნაკვეთის ფართი	4600 კვმ
დანიშნულება	არასახოფლო-სამეურნეო		

პირობითი აღნიშვნები

- X — ნაკვეთის ნიშნული
- ნაკვეთის საზღვარი ფიქსირებული
- ნაკვეთის საზღვარი არაფიქსირებული
- მიწისებრივი ნაგებობა
- საზოგადოებრივი ნაგებობის ან ობიექტის წერტილოვანი ობიექტი
- (შენობის ხარისხობრივი მახასიათებელი)
- შენობებრივ ნაგებობა
- ნარევები
- ხასიათობრივი ნაგებობა
- საზოგადოებრივი ნაგებობის ან ობიექტის წერტილოვანი ობიექტი
- ელექტრო ბოძი
- განათების ბოძი
- ხე
- სხვა ტოპოგრაფიული ელემენტები

საზოგადოებრივი ნაგებობის ფიქტიური სიგრძე:
საზოგადოებრივი ნაგებობის ფიქტიური სიგანე:
საზოგადოებრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი:

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	დავითი გოგსაძე (60001024687)
დაინტერესებული პირი	შპს "საქართველოს ფოსტა" ს/ნ 203836233
თარიღი:	04.12.2025

შენიშვნა: ნაკვეთი აზომილია დაინტერესებული პირის მოთხოვნით

ინდ. მეწარმე დავითი გოგსაძე
ქ. ქუთაისი, ჩხელაშვილის ქ. 11
(საიდენტიფიკაციო კოდი 60001024687)
ggogsadze_geo5@hotmail.com მობილური: 551 42 41 11

საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი

მიწის ნაკვეთის/ხაზობრივი ნაგებობის ადგილმდებარეობის მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	დანიშნულება
ქ. თბილისი, თბილისის აეროპორტი (ნაკვ. 009/003) (ს.კ. 01.19.26.009.048)	4600	არასასოფლო-სამეურნეო

შენობა-ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა	გაშენების ფართი (კვ.მ)

უფლებრივი შეზღუდვის/ დატვირთვის საზღვრების აღწერა	ვალდებულების სახე	ფართობი (კვ.მ.)
	სერვიტუტი	226

ხაზობრივი ნაგებობის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე (მ)	ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე (მ)	ხაზობრივი ნაგებობის თანამდევი წერტილოვანი ობიექტის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის თანამდევი წერტილოვანი ობიექტების რაოდენობა

საზღვარი	მოსაზღვრის აღწერა
A—B	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
B—C	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
C—D	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
D—A	შპს "საქართველოს ფოსტა"

საკადასტრო აღწერის დამსწრე პირების სახელი, გვარი	ხელმოწერა
გიორგი ნიკოლაძე	[signature]

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი, გვარი	ი.მ "დავით გოგსაძე"
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	საიდ. კოდი 60001024687
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	მის. ქუთაისი, ნეჩულაშვილის ქუჩა № 11 ტელ. 551424111
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია	მაღალი სიზუსტის გეოდეზიური ხელსაწყო GPS-ის გამოყენებით, GeoCast-ის გეოდეზიური სისტემის საშუალებით: რეალური დროის რეჟიმი (RTK) და.ა.

აზომვის შესრულების თარიღი:	04.12.2025	
საკადასტრო აგეგმვითი /აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა	დავით გოგსაძე	[stamp: 60001024687]

დაინტერესებული პირი	შპს ,,საქართველოს ფოსტა"
დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	ს/ნ 203836233
დაინტერესებული პირის ხელმოწერა	[signature]

* — საველე-აზომვითი სამუშაოების შესრულების დროს დაინტერესებული პირის გამოკითხვის შედეგად უნდა იქნას მოძიებული მოსაზღვრე ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელის/მესაკუთრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემი.

№ 227 31 აგვისტო 2025 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობრივი მდგომარეობის, ხარისხობრივი შეფასების, გადარგვისა და გახარების შესახებ

2025 წლის 31 აგვისტოს მისამართზე: ქალაქი თბილისი, თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.19.26.009.047; ნაკვ. 009/003), რომლის ფართობია 15 400.00 მ^2 , ხოლო მესაკუთრე შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა“ (საიდენთიფიკაციო ნომერი 203836233), მეტყევე-სპეციალისტის გიორგი კაპანაძის მიერ (მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი, ექსპერტი) შემოწმდა მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობა და გაკეთდა მათი ხარისხობრივი შეფასება.

სულ ტერიტორიაზე განლაგებულია 11 ძირი ფოთლოვანი მწვანე ნარგავი, მათ შორის 7 ძირი ხილ-კენკროვანია.

წარმოდგენილი გენგეგმის მიხედვით საპროექტო არეალში ფიქსირდება და დამკვეთს სურვილი აქვს მოჭრას **9** ძირი მწვანე ნარგავი: N1, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10 და N11, რომელთა შორის 7 ძირი ხილ-კენკროვანია.

დანარჩენ აღწერილ მწვანე ნარგავებს დამკვეთი ამ ეტაპზე ადგილზე ტოვებს.

ცხრილში მოცემულია ქალაქ თბილისში, თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.19.26.009.047; ნაკვ. 009/003), რომლის ფართობია 15 400.00 მ^2, მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობები, ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

ცხრილი N 1

ხის №	მერქნიანი სახეობა	დიამეტრი მიწის პირიდან 10 სმ-ზე	ხის მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ძეძვი ჩვეულებრივი - Paliurus spina Christi	1,1-3	ჯანსაღი	ბუჩქი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
2	ძეძვი ჩვეულებრივი - Paliurus spina Christi	1,1-2	ჯანსაღი	ბუჩქი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
3	ძეძვი ჩვეულებრივი - Paliurus spina Christi	1,1-2	ჯანსაღი	ბუჩქი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას

4	ბროწეული - Punica granatum	1,1-3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ბუჩქი, ექვემდებარება მოჭრას
5	ბროწეული - Punica granatum	1,1-2	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ბუჩქი, ექვემდებარება მოჭრას
6	მაჟალო (ვაშლი) - Malus ssp	1,1-2	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ბუჩქი, ექვემდებარება მოჭრას
7	მაყვალი - Rubus ssp	1,1-2	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ბუჩქი, ექვემდებარება მოჭრას
8	ფშატი - Eleagnus spp	2,1-10	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრას
9	ფშატი - Eleagnus spp	8,1-10	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრას
10	ფშატი - Eleagnus spp	2,1-6	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრას
11	ძეძვი ჩვეულებრივი - Paliurus spina Christi	1,1-3	ჯანსაღი	ბუჩქი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას

მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) ვიზუალური დათვალიერება განახორციელა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 18 იანვრის N1-28 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

დანართი: 13 გვ , ტოპოგეგმა და მწვანე ნარგაობის (მერქნიანი მცენარეების) დასურათება მისი ნომერაციის მიხედვით.

შემსრულებელი : Giorgi Kapanadze 38001006370 Digitally signed by Giorgi Kapanadze Date: 2026.02.18 15:21:37 გიორგი კაპანაძე

მეტყევე-ექსპერტი: Tel: 593 10 28 44

ელ. ფოსტა: Giokapana14@gmail.com 595 00 00 49

გენგეგმა



საპროექტო ორგანიზაცია		პროექტის სტატუსი	არქიტექტურული ნაწილი	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება	მასშტაბი	ფურცელი	ფორმატი
GeorgianHouse Architrcture Design Contruction	ქუჩა: ალ. ყაზბეგის 12ა ქალაქი: თბილისი ქვეყანა: საქართველო საფოსტო კოდი: 0160 Adress:Al. Kazbegi ave. 12a City:Tbilisi Country:Georgia Postcode:0160	პროექტის ავტორები თ.ღვალი ნ.მაისურაძე თ.ქავთარაძე		ქ. თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ, ს/კ 01.19.26.009.047; რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, "ფოსტის-კავშირგაბმულობის" შენობის მოწყობისთვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	გენგეგმა	1:500	A.08	A3

შპს " გეომეკ

ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის №7,
ოფისი, №209ბ
ტელ: +995 598306562

მისამართი

ქალაქი თბილისი, თბილისის აეროპორტი, ნაკვ. (009/003)
ს.კ(01.19.26.009.047)

სიტუაციური სქემა



ტოპო გეგმა



პირობითი აღნიშვნები

მიწისქვეშა კომუნიკაციები				
კანალიზაცია	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ცოცხალი ღობე	სეტკის ღობე
დენის კაბელი	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური
გაზის მილი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	რკინის ბოძი	ბეტონი
წყლის მილი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი
კავშირგაბმულობა	კიბე	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი
	ფოთლოვანი ხე	ონკანი	დენის ბოძი	ჭიშკარი
	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური
	ვაზი	ბენზინგასამართი სადგური	იზოჰიფსი	ფლატე
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	რკინის ღობე	UTM (საკოორდინატო სისტემის კოორდ.)

შპს " გეომეკ"

დირექტორი		ლ.ბერძენაძე
შემსრულებელი		ლ.ბერძენაძე
დამკვეთი		
მ. 1:1000		14/07/2025